ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13252825**

თარიღი:**09/10/2025**

ანგარიში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

2025 წლის 01 იანვრიდან - 01 სექტემბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა'' ქვეპუქტისა და ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის (რეგლამენტი) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2025 წლის 01 იანვრიდან - 01 სექტემბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დადებითად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ანგარიში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ
2025 წლის 01 იანვრიდან - 01 სექტემბრამდე პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

ქ. ახალციხე **2025 წელი**

პატივცემულო საზოგადოებავ, ძვირფასო საკრებულოს წევრებო,
ქალბატონებო და ბატონებო

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის 01 იანვრიდან - 01 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული სამუშაოს ამსახველი ანგარიში.

კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლითაც მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს. სწორედ ამ პრინციპების დაცვითა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულებით იწყება თითოეული სამუშაო დღე.

წარმოგიდგენთ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეულ სამუშაოს ანგარიშს, რომელიც შესრულებულია მერიაში შემავალი თითოეული სამსახურის უშუალო მონაწილეობით.

ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური, სამსახურში შემავალი განყოფილებების მეშვეობით უზრუნველყოფს შემოსული განცხადებებისა და წერილების სათანადოდ გაფორმებას, დოკუმენტის შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას, ასევე მუნიციპლიტეტის მერიიდან გასული დოკუმენტაციის სათანადოდ აღრიცხვასა და ადრესატისათვის დროულ გაგზავნას. სამსახურის მთავარი ამოცანაა ადამიანური რესურსების მართვა, საკადრო საკითხები, მერიის მხრიდან საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობა, ახალციხის მერიის მიერ განსახორციელებელი პროექტების საზოგადოებისთვის გაცნობა, ლოჯისტიკის და იურდიული საკითხების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 10 593 სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, მათ შორის:

ფიზიკური პირის განცხადება	-	5 551
ორგანიზაცია/დაწესებულებები	-	5 042

მომზადებული და ადრესატისთვის გადაგზავნილია - 4 859 წერილი/წერილის პასუხი, 3 980 მოხსენებითი ბარათი და 1208 ცნობა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის მერიის დებულების, ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის დებულების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას. შესასრულებლად გადმოცემული დოკუმენტებზე რეაგირება მოხდა დადგენილი წესით – ვადების სრული დაცვით.

აღნიშნული სამსახურის მეშვეობით განხორციელდა 2 106 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადება/პროექტის განხილვა და შესაბამისი ვიზირება, განხორციელდა 39 ხელშეკრულების მომზადება და განხილვა. სისტემატიური ხასიათით ხდებოდა მოქალაქეებისათვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციების გაცემა და შესაბამისი დოკუმენტების შეგროვებაში ხელშეწყობა, რამაც მოქალაქეებს გაუმარტივა მათ მიერ მოთხოვნილი განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მიმდინარე წელს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს 33 სასამართლო საქმე, საიდანაც დასრულებულია 8 საქმე.

გასულ წელს სამსახურის მეშვეობით განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა ნაწილობრივ ახალი სტრუქტურა, რის საფუძველზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულებისათვის საჭირო ნორმატიულ აქტების შემუშავება/ ცვლილებების შეტანა და მათი მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის სამოქმედოდ საჭირო სხვა არაერთი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მათი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

არსებულ ვაკანტურ საშტატო ერთეულებზე მიმდინარე წელს ორჯერ გამოცხადადა კონკური, რომელიც იყო, როგორც ღია, ისე შიდა და დახურული სახით, სადაც მონაწილეობა მიიღო 48 დაინტერესებულმა პირმა, 18 მათგანს მიეცა შესაძლებლობა გაწევრიანებულიყო ჩვენს აქტიურ, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ გუნდში, მათ შორის 13 მათგანთან განხორციელდა მოხელის კარიერული განვითარება. ასევე, სამსახურის მხრიდან სისტემატიური ხასიათით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა შუალედური და საბოლოო შეფასების ადმინისტრირება და საკადრო მონაცემების ინფორმაციის ბაზის წარმოება, რაც მუშაობას მეტად მოქნილს და ეფექტურს ხდის.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა არსებული ფინანსები, რომლის გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რაც საწინდარი გახდება ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკის გაძლიერებისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის.

2025 წლის დასაწყისში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 36 400,00 (ოცდათექვსმეტი მილიონ ოთხასი) ათასი ლარი. 2025 წლის 1 სექტემბრისთვის კი 53 907.00 (ორმოცდაცამეტი მილიონ ცხრაას შვიდი) ათასი ლარია.

სულ 2025 წლის 1 სექტემბრისთვის ბიუჯეტიდან გაიხარჯა 30 902,00 (ოცდაათი მილიონ ცხრაას ორი) ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით 7 066,0 (შვიდი მილიონ სამოცდაექვსი) ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 23 836,0 (ოცდასამი მილიონ რვაას ოცდათექვსმეტი) ათასი ლარი.

2025 წლის 1 სექტემბრისათვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გახარჯულია 11 979,0 (თერთმეტი მილიონ ცხრაას სამოცდაცხრამეტი) ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 269,0 (ოთხი მილიონ ორას სამოცდაცხრა) ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 7 710,0 (შვიდი მილიონ შვიდას ათი) ათასი ლარი.

2025 წლის 1 სექტემბრისათვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვის ორგანიზაციულ კოდში გაიხარჯა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 389,0 (ორი მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა) ათასი ლარი.
- ✓ განათლებისთვის გაიხარჯა 5 316,0 (ხუთი მილიონ სამას თექვსმეტი) ათასი ლარი.
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის კოდში გაიხარჯა 5 186,0 (ხუთი მილიონ ას ოთხმოცდა ექვსი) ათასი ლარი.
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა 1 451,0 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდათერთმეტი) ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ჯანმრთელობის დაცვა. ამ სფეროში მისი მიზანია მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციართა, შშმ პირთა, სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის ბენეფიციართა მხარდაჭერა - ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად ფინანსური დახმარების გზით. შეღავათიანი სამედიცინო მომსახურება. მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემათა გადაჭრა კომპლექსური მომსახურებების მიწოდების გზით და სხვა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შემუშავებული იქნა „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“, რომელიც ძირითად სამოქმედო დოკუმენტად იქცა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურისათვის.

წარმოდგენილი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პროგრამები, შესაბამისობაშია მოყვანილი საყოველთაო ჯანდაცვის მოქმედ პროგრამებთან და შესაძლებლობის ფარგლებში ავსებს მათ, ამავე დროს გამორიცხავს საყოველთაო ჯანდაცვისა და კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფინანსებული ნაწილის გადაფარვას და ახდენს მხოლოდ მოქალაქის მიერ გადასახდელი ნაწილის დაფინანსებას.

ზემოხსენებული დოკუმენტი 25 პროგრამული მუხლისაგან შედგება, საიდანაც პირველი 7 მუხლით განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება, ხოლო დანარჩენი 18 მუხლი კი მოიცავს სოციალური დახმარების პროგრამებს.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების გაფართოებისა და ცვლილებების გათვალისწინებით 2025 წლის ჯანდაცვის ბიუჯეტი წლის დასაწყისიდან განისაზღვრა **994 209** ლარით, მოქალაქეთა საგრძნობლად გაზრდილი მომართვიანობის გამო საჭირო გახდა შიდა ორგანიზაციული კოდებიდან **50 000** ლარის გადატანა. მიმდინარე წელს, ჩვენი მხრიდან ვალდებულებით ნაკისრი თანხა, დღეის მდგომარეობით შეადგენს **1 023 283** ლარს. მიმდინარე წელს სულ შემოსულია - 2180 განაცხადი, რომელთა დეტალური აღწერილობა (2024 წლის მონაცემებთან შედარებით) შემდეგნაირად გამოიყურება:

2024-2025 წლის შედარება

N	ჯანდაცვის პროგრამები - მიზნობრიობა	2024 - 2025 წელი		2024 - 2025 წელი	
		ბნეფიციარის რაოდენობა (2024)	ბნეფიციარის რაოდენობა (2025)	დაფინანსების ოდენობა (2024)	დაფინანსების ოდენობა (2025)
1	მუხლი 1. მოსახლეობის სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევების დაფინანსება	532	446	128 920	117 324
2	მუხლი 2. მოსახლეობის გეგმური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების დაფინანსება	728	503	329 794	224 567
3	მუხლი 3. ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარების მკურნალობის დაფინანსება	587	551	373 315	375 387
4	მუხლი 4. მოსახლეობის სამედიცინო მკურნალობის დაფინანსება	129	131	39 634	30 146
5	შშმ ომის ვეტერანთა მედიკამენტოზური პაკეტი	20	14	5584	4229
6	მუხლი 6. ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	75	70	16 090	17 642
7	მუხლი 7. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა	547	465	185 526	253 988
	ჯამი:	2618	**2180**	1 078 863	**1 023 283** (დღეის მდგომარეობით)

აქვე მოგახსენებთ, რომ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განსახორციელებლად, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილია **2 289892** ლარი. მათ შორის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 1149683 ლარს სარეზერვო ფონდის ჩათვლით.

მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, მერიის სოციალური პროგრამებით ისარგებლა 1366-მდე ბენეფიციარმა.

გასული წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით, ზემოთ ხსენებული სოციალური დახმარების ზოგიერთ ქვეპროგრამაში განხორციელდა დაფინანსების ოდენობის ზრდა, ასევე გაფართოვდა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა კატეგორია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია 2025 წლის სოციალური პროგრამები 22 სექტემბრის მდგომარეობით

N	სოც.პროგრამის დასახელება	დაფინანსება	ბენეფიციართა რაოდენობა
1	სოციალური დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	50450	160
2	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება	41600	77
3	იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	1000	4
4	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	0	0
5	სოციალური დახმარება მეწყერის შედეგად დაზარალებული უსახლკარო ოჯახებისთვის	3600	2
6	შშმ პირის სტატუსის მქონე ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება	6035	12
7	ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მქონე პირთა სოციალური დახმარება	3600	12
8	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება	700	1

9	უხუცესთა სოციალური დახმარება	3800	12
10	შშმ პირთა სოციალური დახმარება	142850	354
11	შშმ ბავშვთა სოციალური დახმარება	23400	78
12	ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარება	2400	3
13	უსახლკაროთა და მიუსაფართა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა	27550	17
14	ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის'' უფასო სასადილოს მომსახურება	169208	180
15	შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარება	49701	175
16	თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა სოციალური დახმარება	19602	30
17	იძულებით გადაადგილებულ პირთა –დევნილთა სოციალური დახმარება	13098	96
18	ობოლ ბავშვთა/ მარჩენელდაკარგულთა სოციალური დახმარება	22940	54
	სულ გახარჯული:	581534	1366

ბენეფიციართა ნაწილს, რომლებიც „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით“ გათვალისწინებული პირობებს ვერ აკმაყოფილებენ, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა და შესწავლის საფუძველზე დახმარებას მერიის სარეზერვო ფონდიდან ღებულობენ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილება საანგრიშო პერიოდში მუშაობდა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილების საფუძველზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების თანახმად, დადგენილი წესით, მოპოვებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებული დაავადებების/მდგომარეობების შესახებ ინფორმაცია და გატარდა სათანადო ღონისძიებები;

„იმუნიზაციის'' სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად, სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის სოფლის ექიმები) მოთხოვნის საფუძველზე, რუტინული ვაქცინაციისათვის, უწყვეტად მიმდინარეობდა ვაქცინების და სახარჯი მასალების გადაცემა.

სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა დამხმარე ზედამხედველობა ,,იმუნიზაციის'' სახელმწიფო პროგრამით გადაცემული ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების ხარჯვაზე, განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებებიდან, მ.შ. სოფლის ამბულატორიებიდან მიღებული ინფორმაციის დადარება და მონიტორინგი ჯანდაცვის ერთიანი ელექტრონული სისტემის იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში, ბენეფიციარებისათვის ჩატარებული გეგმიური და არაგეგმიური აცრების თაობაზე აღრიცხულ მონაცემებთან. ჩატარებული პროფილაქტიკური აცრებით მოცვის პროცენტული მაჩვენებლები, კი საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს ატარებს.

ასევე, მიმდინარეობს არაგეგმიური ვაქცინაციის კუთხით, სეზონურ გრიპზე ასაცრელი კონტიგენტის მოძიება-დაზუსტება.

საქართველოს მთავრობის №473 (14.09.2015 წ. ქ თბილისი) დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში, განხორციელდა 71 შპს-სა და ინდივიდუალური მეწარმის, ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას, ინფექციების პრევენციებისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგი. თითოეულ მათგანს მიეცა რჩევა-მითითება, დაურიგდათ ამონარიდები მოქმედი ტექნიკური რეგლამენტიდან; მათგან უმრავლესობას მიეცა გონივრული ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. განმეორებითი მონიტორინგით გამოიკვეთა, რომ ინდ. მეწარმეების მიერ გათვალისწინებულ იქნა რჩევები და შენიშვნები.

2024 წლის 03 ივნისს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა N363 ხელშეკრულება - „თამბაქოს კვამლისგან თავისუფალი სახლების ინტერვენციის დანერგვა საქართველოსა და სომხეთში“ რომლის ფარგლებში, ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ფიზიკური აქტივობის პროგრამების გაძლიერების მიზნით, ხელშეკრულების (მოქმედების ვადა - 03.06.2024 - 31.01.2028 წწ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილების სპეციალისტების მიერ, ახალციხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი იყო და განხორციელდა ისეთი აქტივობები, რომელებიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში, სარეკრეაციო და სპორტულ სივრცეებში, პარკებში, კერძო და საჯარო დაწესებულებებში მჯდომარე ქცევის შემცირებას ადამიანებში; მაქსიმალურად მეტი ადამიანის ჩართვას ფიზიკურ აქტივობაში, მათი შესაძლებობების გათვალისწინებით.

ყოველივე ეს კი გვაძლევს შესაძლებლობას მოვახდინოთ ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე არსებული ვალდებულებების სათანადოდ აღსრულება.

ეკონომიკური სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახური უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას და

მუნიციპალიტეტის ქონების მართვას, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და გადასახადების მობილიზებას ადგილობრივ ბიუჯეტში, სტატისტიკური ინფორმაციების შეგროვებას და დამუშავებას.

სამსახური შეიმუშავებს პროექტებს მერიის მიერ ინვესტიციების მოზიდვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების დასუფთავების საკითხების შესახებ. რეაგირებს მოსახლეობის მხრიდან შემოსულ განცხადებებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სტატუსის, საშეშე მერქნის გამოყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამსახური ახორციელებს რიგ მუნიციპალურ სერვისებზე მოსაკრებლების სახეობის შემუშავებას და შემოსული თანხების მობილიზებას.

ეკონომიკური სამსახური ყოველწლიურად აახლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ბაზებს. მიმდინარე წელს სხვადასხვა დანიშნულებისათვის მოთხოვნილ იქნა 10 ერთეული უძრავი ქონება.

2025 წლის დღეის მდგომარეობით განხორციელდა 8 ერთეული კანონიერი მოსარგებლისათვის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის გადაცემა.

- ასევე მუნიციპალიტეტმა შუამდგომლობის წერილით მიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას რათა შემდგომში სიმბოლურ ფასად ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცეთ 18 ოჯახს (აქედან 7 - ქ. ვალეში მცხოვრები, 8 - ქ. ახალციხეში, 2 - სოფელ აწყურში და 1-სოფელ ურაველში მცხოვრები ოჯახი) მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლები.

- მიმდინარეობს დოკუმენტაციის მომზადება რათა 8 ოჯახს შუამდგომლობა გაეწიოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან და სიმბოლურ თანხად საკუთრებაში გადაეცეთ ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული იმ მატერიალური ქონებების გადახარისხება და საპრივატიზებოდ მომზადება, რომელთაც მორალურად და ფიზიკურად დაკარგული აქვთ ფუნქცია და წლებია დასაწყობებულია მუნიციპალიტეტის საქმიან ეზოებში.

2025 წელს საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების შესაბამისად საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად ელექტრონული აუქციონის ფორმით მოახდინა უძრავ/მოძრავი ქონების განკარგვა, მათ შორის, 306 ერთეული ქონების (უძრავ/მოძრავი) პრივატიზება. აუქციონებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსული თანხა ამ ეტაპზე შეადგენს **65 725** ლარს.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში სამსახური სისტემატურ რეკომენდაციებს და კონსულტაციებს უწევს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და შესაბამის წერილებს უგზავნის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი გადასახადების ადმინისტრირებას შემოსავლების სამსახური ახორციელებს, სამსახურის მიერ შექმნილია ადგილობრივი გადასახადის გადამხდელთა ბაზები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, იურიდიული პირების და სხვა.

სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა 18 ერთეული ხელშეკრულების/სახელშეკრულებო შეთანხმების გაფორმება იურიდიულ პირებთან დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით. ყოველდღიურ რეჟიმში

მიმდინარეობს მეწარმეებთან ურთიერთობა, როგორც ადგილზე გასვლით, ისე სატელეფონო კომუნიკაციით და ხდება მათი ინფორმირება მოსაკრებლების ტარიფის თუ გადახდის ვადების შესახებ, დასუფთავების მოსაკრებლიდან დღეის მდგომარეობით უკვე შემოსულია **177 161** ლარი; საანგარიშო პერიოდში საიჯარო ქირიდან კი შემოსული თანხა **111 764, 55** ლარია.

სამსახურის თანამშრომლები აქტიურად თანამშრომლობენ სტატისტიკის დეპარტამენტთან, რის საფუძველზეც შექმნილია მუნიციპალიტეტის ჭრილში სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბაზები.

გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მხარდაჭერით „საინვესტიციო და დაფინანსების მზაობის აკადემიის“ ფარგლებში ეკონომიკის სამსახურის მიერ შექმნილია - „ახალციხის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგი“.

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალური შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას, შესყიდვის პროცედურების კანონიერების დაცვას, კონკურენტული გარემოს შექმნას, შესყიდვების პროცესის გამჭირვალობას და მუნიციპალიტეტის მატერიალურ უზრუნველყოფას.

მოგახსენებთ, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა, მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, საანგარიშო წლის პერიოდში, ჩაატარა **69 სატენდერო კომისია და გადაწყვეტილება იქნა მიღებული 145 ტენდერის** გამოცხადების შესახებ, მათ შორის:

- 100 ტენდერზე გაფორმდა ხელშეკრულება;
- 16 ტენდერზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები;
- 29 ტენდერი დასრულდა სხვადასხვა სტატუსით (არ შედგა, შეწყვეტილი, დასრულდა უარყოფით შედეგით);

2025 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმდა 256 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 24 558 552 ლარი, მათ შორის:

- ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელდა 100 სახელმწიფო შესყიდვა, თანხით - 24 172 242 ლარი;
- გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით განხორციელდა 125 სახელმწიფო შესყიდვა, თანხით - 277 174 ლარი;
- კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით განხორციელდა 31 სახელმწიფო შესყიდვა, თანხით - 109 136 ლარი.

ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით–ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის კეთილმოწყობაზე ზრუნვას.

ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის მხრიდან შემოსული წერილების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება ადგილზე გასვლა და მოსახლეობის მიერ წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

აღნიშნულ პერიოდში გაიცა 120 სანებართვო პირობა, მოხდა 19 ობიექტის ვარგისად აღიარება (ექსპლუატაცია) და 19 ობიექტის ლეგალიზება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ინსპექტირების ჯგუფი აქტიურად უწევდა ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით სამშენებლო ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებს, ასევე კონტროლს უწევდა საზედამხედველო ორგანო შპს ,,ქრიზოლითი +“ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ დიდი დრო დაეთმო და მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. ასევე წლის დასაწყისში შემოწმებული და დაკორექტირებული იქნა საპროექტო ორგანიზაციების მიერ გამზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები, რომელთა მიხედვითაც მოხდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

2025 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სკვერებისა და მინი მოედნების მოწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს შიდა საავტომობილო გზების, სასმელი წყლის შიდა ქსელების და მაგისტრალური მილსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო გარე განათების ახალი ქსელები. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ზემოთაღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა დაფინანსების 6 წყარო, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს:

1) ადგილობრივი ბიუჯეტი - 11 571 938 ლარი;
2) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 7 129 489 ლარი;
3) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 612 000 ლარი;
4) სკოლები - 986 975 ლარი;
5) სტიქიის სალიკვიდაციო - 400 000 ლარი;
6) მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 344 899 ლარი.

(წარმოდგენილ ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს, მუნიციპალიტეტის მხრიდან 2025 წელს შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია)

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური მუშაობას წარმართავს წლის დასაწყისში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით. გეგმა ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული, კულტურისა და სპორტის მიმდინარეობის განვითარებისაკენ; გრძელვადიანი მიზნების შესრულებისკენ.

სამსახურში წარმოდგენილია ორი განყოფილება:

- კულტურისა და ქალთა უფლებების დაცვის განყოფილება;
- განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის განყოფილება.

თითოეული განყოფილება თემატური მიმართულებებით გეგმავს სხვადასხვა პროგრამებსა და ღონისძიებებს, რომლის მიზანია, ადგილობრივ მოსახლეობას მისცეს შესაძლებლობა სხვადასხვა საჭირო სერვისებზე და პროგრამებზე წვდომისა და განვითარებისათვის.

საანგარიშო წლის პერიოდში ზემოხსენებული სამსახურის ორგანიზებით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა 51 ღონისძიება, რისთვისაც დაიხარჯა დაახლოებით 251 981 ლარი, მათ შორის:

- ✓ განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარდა 25 ღონისძიება, რისთვისაც დაიხარჯა 149 430 ლარი;
- ✓ კულტურისა და ქალთა უფლებების დაცვის განყოფილების მიერ ჩატარდა 26 ღონისძიება, დაიხარჯა 102 551 ლარი;

აღსანიშნავია, რომ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამის **„ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“**, ფარგლებში, მერის სტიპენდია მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 96-მა წარჩინებულმა სტუდენტმა, ფულადი წახალისების სახით გათვალისწინებულია ჯამში 48 ათასი ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, 2023 წლიდან განხორციელება დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულთა 100 პროცენტიანი სასწავლო გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოს გაცემის პროგრამამ. 2024 წელს 100 პროცენტიანი გრანტი მოიპოვა სამმა პირველკურსელმა, ხოლო მიმდინარე წელს შვიდმა (მათგან ერთი ჩაირიცხა ბუდაპეშტის უნივერსიტეტში) რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმატებით ხორციელდება **„სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა“,** რომლის საერთო ღირებულება 395 475 ლარია. პროგრამის ფარგლებში სრულდება 50 მარშრუტის 124 მიმართულება, რითაც სარგებლობს 19 სკოლის 839 ბენეფიციარი.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ისეთი მასშტაბური ღონისძიებები როგორიცაა,

- ✓ 3 მარტს - დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიან დედებს გადაეცათ ფულადი საჩუქრები;
- ✓ 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალაქის ცენტრალურ უბნებში ქალბატონებს დაურიგდათ ყვავილის თაიგულები;
- ✓ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა შემეცნებითი - საგანმანათლებლო ექსკურსია და დასუფთავების აქცია სტუდენტებისთვის სლესის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ✓ ტრადიციულად აღინიშნა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, ასევე აუტიზმის დღისადმი მიძღვნილ სოლიდარობის აქცია. „მწვანე სახლის“ ფსიქოლოგიური მომსახურეობის ცენტრის და სხვა აუტისტური სპექტრის მქონე ბენეფიციარების მომსახურე დღის ცენტრებს გადაეცათ მათ საჭიროებაზე მორგებული სათამაშო და სავარჯიშო ნივთები;
- ✓ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა სახალხო დღესასწაული;
- ✓ მასშტაბურად და მრავალფეროვანი აქტივობებით ჩატარდა სახალხო დღესასწაული - წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ გაიმართა ფოტოკონკურსი ,,ახალციხე-ობიექტივში“ - გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები;
- ✓ ეტაპობრივად განხორციელდა და კვლავაც ხორციელდება საიუბილეო თარიღების მილოცვა ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანებისთვის.
- ✓ 14 აპრილს აღინიშნა დედაენისა და 23 აპრილს წიგნის საერთაშორისო დღე, სადაც აქტიურ მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები;
- ✓ 1 ივნისს სხვადასხვა გასართობი ღონისძიებებით აღინიშნა-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; პატარებს მერიისგან დაურიგდათ საჩუქრები;
- ✓ 3 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმატებულ აღმზრდელებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს გადაეცა მადლობის სიგელები და საჩუქრები;
- ✓ მასშტაბურად, ახალციხის ციხეზე გასართობი ღონისძიებებითა და პოპულარული მომღერლის მონაწილეობით, აღინიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე. აქვე მერის სტიპენდიანტებს საზეიმოდ, ფულად ჯილდოსთან ერთად, გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები;
- ✓ ახალი სასწავლო წელს, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 535 პირველკლასელს მერიისგან საჩუქრად გადაეცა სასკოლო-საკანცელარიო ნივთების სასაჩუქრე პაკეტი;
- ✓ ახალციხელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს იუმორისტული პროექტის ,,სიცილის ლიგა“ რეგიონულ ტურში, რომელიც დაბა წაღვერშის კულტურის სახლში გაიმართა, თანატოლებს ორგანიზებულად უგულშემატკივრეს ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა.
- ✓ სამსახურის მიერ ორგანიზება გაეწია სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშებს სპორტის 8 სახეობაში.
- ✓ ჩატარდა როინ სუდაძის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში;
- ✓ წელს პირველად გაიმართა თევზჭერის სამოყვარულო ტურნირი, რომელმაც დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში; გამარჯვებულები პრიზებით დაჯილდოვდნენ;

- ✓ მიმდინარე წლის 6 სექტემბერს, გაიმართა მოტოშეჯიბრი, რომელიც ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს;
- ✓ 5-11 სექტემბერს ჩატარდა 7X7-ზე ფეხბურთის ,,მასტერლიგა 2025-ის მუნიციპალური თამაშები“;
- ✓ ამ დღეებში, 3 ოქტომბერს, ახალციხის ციხეზე გაიმართება ახალგაზრდებში მეტად პოპულარული შერეული ორთაბრძოლების ტურნირი, სადაც სიამოვნებით გიწვევთ.

- ✓ მიმდინარე წლის იანვრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით განხორციელდა, როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პროგრამები ახალგაზრდული მიმართულებით, რომელიც ჯამურად 2000 - მდე ახალგაზრდას აერთიანებდა. სულ 10 გრძელვადიანი პროგრამა, 60 მოკლევადიანი აქტივობა განხორციელდა, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლო, შემეცნებით, გასართობ და ინტელექტუალურ აქტივობებს, პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა ჩაატარეს გასვლითი შეხვედრები და აქტივობები ადმინისტრაციული ერთეულების 5 ახალგაზრდულ ცენტრში, სადაც თანატოლებს დაეხმარნენ ლიდერული უნარების გაძლიერებასა და პიროვნულ განვითარებაში;
- ✓ მასშტაბურად ჩატარდა კონკურს-ფესტივალის - „სხვა საქართველო სად არის“ ორი რეგიონული ტური;

მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოსა და საშობაოდ კი განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, სადღესასწაულო დღეებში გაიმართება საზეიმო ღონისძიებები და საახალწლო კონცერტები, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით. ქალაქ ახალციხის ცენტრალურ ნაწილში, საზეიმოდ აინთება საახალწლო ნაძვის ხე.

შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახური მიმდინარე პერიოდის განმავლობაში საქმიანობდა შიდა აუდიტის სამსახურის 2024-2026 წლების სტრატეგიული და 2025 წლის წლიური გეგმის შესაბამისად.

შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა 2025 წლის გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები:

- ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯის სისტემური აუდიტი.
- კულტურის ღონისძიებების დაფინანსების სისტემური აუდიტი.
- ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრის სისტემური აუდიტი.

ხოლო 2025 წლის ბოლომდე განხორციელდება:

- ა(ა)იპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის სისტემური აუდიტი.

2025 წლის დასაწყისში შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა არაგეგმიური აუდიტი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის, სოციალურ საკითხთა განყოფილების შესახებ.

სამსახური მიმართულია მერიისა და მისი დაქვემდებარებული იურიდიული პირების საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებულია, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. სწორედ ამ მიზნით სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების ფარგლებში შესასრულებლად გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სამსახურმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასწია საკონსულტაციო საქმიანობა ზეპირი ფორმით, როგორც მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, აგრეთვე მერიის დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებში შესაბამისი მომართვის საფუძველზე.

დასკვნითი ნაწილი

ჩვენი მოსახლეობის მხრიდან გამოჩენილი მხარდაჭერა, ჩვენს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, მერიის კვალიფიციური ადამიანური რესურსი, გვაძლევს იმის საფუძვლიან იმედს, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მომავალში შეეჭიდება და დაძლევს უფრო დიდი და საპატიო სიმაღლეებს.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

2025 წლის ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალი

№	ობიექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
	ადგილობრივი ბიუჯეტი		
1	,,ქალაქ ახალციხეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ”რაბათის უბნის” ტერიტორიაზე (გოგებაშვილის ქუჩა N7-ში) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეძენის უზრუნველყოფა“	96 222	
2	,,ქალაქ ახალციხეში ქ. ჩოლოყაშვილის ქუჩაზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში: სხვილისსა და ხაკში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	41 556.18	
3	,,ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის მიმდებარედ სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა“	141 152,98	
4	,,ქალაქ ახალციხეში ივერიელის ქუჩა №52-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	143 805,17	
5	„ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩაზე N5 საბავშვო ბაგა-ბაღისა და ივერიელის ქუჩაზე N6 საბავშვო ბაღის გათბობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	132 471.40	
6	,,ქალაქ ახალციხეში ადიგენის ქუჩა N20-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა''	82 393	
7	„ქალაქ ახალციხეში, შ. რუსთაველის №124-ში კინო კლუბის შენობის სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა"	43 999.75	
8	,,ახალციხის მუნიციპალიტეტში ხაშურიახალციხე-ვალე (თურქეთის საზღვარი) პკ 72+300-ზე მდებარე სტელისა და ქალაქ ახალციხეში მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N2ა-ში მდებარე სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	124 719.92	
9	„ქალაქ ახალციხეში, მ. თამარაშვილის ქუჩაზე არსებული კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	9 999	
10	,,ქალაქ ახალციხეში ადიგენის ქუჩა N2-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა"	108 300	
11	,,ქალაქ ახალციხეში მერაბ კოსტავას ქუჩა N119-ში; N126-ში; N127-ში და N137-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა"	92 145.69	

12	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეოთში ქუჩებისა და გზის რეაბილიტაციის, სოფელ მუსხში არსებული ხიდისა და სოფელ ურაველში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	661 802.93	
13	,,ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩა N20-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	48 870	
14	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭარაქში სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	205 925	
15	„ახალციხის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელებში სტელების (ხაშური-ახალციხე-ვალე-თურქეთის საბაჟო, ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საბაჟო და ბათუმი-ახალციხე) მოწყობის/რეაბილიტაციის სამუშაოების უზრუნველყოფა“	269 488,44	
16	,,ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩა N42-ში საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა"	64 932.63	
17	„ქალაქ ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩა N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	168 595	
18	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში; სოფელ აგარაში I ქუჩის I ჩიხის, სოფელ წნისში IX ქუჩის, XI ქუჩისა და XI 1-ელი შესახვევის და სოფელ ხაკში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა (მრავალწლიანი შესყიდვა)	572 000,00	
19	„ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქ.#40-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მიშენების სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	23 997.18	
20	„ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩა N41აში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა”	444 782.18	
21	„ქალაქ ახალციხეში დავით გურამიშვილის ქუჩისა და ხარისჭირაშვილის ქუჩა N16-ის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები“	117 005	
22	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭარაქში მე-4 ქუჩაზე N 16-ის მიმდებარედ არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	15 494.96	
23	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლანაში ყოფილი კლუბის შენობისა და ქალაქ ახალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი: 62.09.51.406) სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა"	40 316	
24	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთბილაში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	121 989.99	
25	„ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩა N41ა-ს მიმდებარედ სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	120 500	

26	ქალაქ ახალციხეში პაატა ნათენაძის ქუჩა N28-ში არსებული შენობის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა	157 119	
27	ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩა №11-ში მდებარე მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველელყოფა	270 937	
28	ქალაქ ახალციხეში მერაბ კოსტავას ქუჩა №75ა-ში მდებარე მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველელყოფა	199 999	
29	„ქალაქ ახალციხის სხადასხვა უბანში საფეხმავლო ბილიკების, ღობისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	100 562	
30	,,ახალციხის მუნიციპალიტეტის **სოფელ მუგარეთში** სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველელყოფა“	121 461	
31	„ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ **ვალეში** სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	117 257	
32	ახალციხის მუნიციპალიტეტის **ქალაქ ვალეში** სტალინის ქუჩაზე საყრდენი კედლისა და კიბის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა	179 920	
33	ქალაქ ახალციხეში **თამარაშვილის ქ. N41ა**-ში საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა	39 322	
34	,ქალაქ ახალციხეში **9 აპრილის ქუჩა N3-ში** საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	46 666	
35	ქ. ახალციხეში **ა. ყაზბეგის ქუჩა N42 ა** -ში მდებარე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველელყოფა (მრავალწლიანი შესყიდვა).	260 000	
36	ქალაქ ახალციხეში, **ასპინძის ქუჩის** მიმდებარე ფოცხოვის წყალზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა (მრავალწლიანი შესყიდვა).	154 480	
37	**ქ. ახალციხეში რაბათის სანიაღვრე არხის** სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველელყოფა (მრავალწლიანი შესყიდვა).	209 333	
38	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის II შახტის დასახლებაში მეორეხარისხოვანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა	349 800	
39	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში: აწყურში VI და XII ქუჩებზე მონოლითური და ანაკრები სანიაღვრე არხის მოწყობის, სოფელ აწყურში ლითონის მოაჯირების მოწყობის, სოფელ ზიკილიაში სანიაღვრე არხის მოწყობისა და სოფელ საყუნეთში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველელყოფა	216 501	
40	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა	119 999	

41	„ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში შ. რუსთაველის ქუჩა N14-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების“ შესყიდვის უზრუნველყოფა.	182 172	
	სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი		
1	„ქალაქ ახალციხეში, შ. რუსთაველის ქუჩა #91ბ მიმდებარედ "ე.წ. მლაშიხევი"-ს და ფარნავაზ მეფის ქუჩა #38-ს მიმდებარედ დახურული სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	190 000,00	
2	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში I და III ქუჩაზე არსებული ხიდების მოწყობისა და სოფელ სხვილისში არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა (მრავალწლიანი შესყიდვა)“	210 000	
	რეგიონალური ფონდი		
1	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში VI ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეძენის უზრუნველყოფა“	865 532.13	
2	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში II ქუჩის, II ქუჩის 1-ლი და მე-2 შესახვევის რეაბილიტაცია და II ქუჩის 1-ლი შესახვევიდან მე-2 შესახვევამდე გზის რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“	353 989.83	
3	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლანაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	718 446.41	
4	„ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში ბარათაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	918 584.22	
5	„ქალაქ ახალციხეში შალვა ახალციხელის ქ.N5- ში სამუსიკო სკოლის მშენებლობის სამუშაოების უზრუნველყოფა (მრავალწლიანი შესყიდვა)”	1 300 000	
6	„ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩა N57-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	385 187.52	
7	„ქალაქ ახალციხეში, შ. რუსთაველის №124-ში კინო კლუბისა და მედიათეკის მშენებლობის სამუშაოები შესყიდვის უზრუნველყოფა“	1 300 000	
8	„ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქ. N 44-ში მდებარე სპორტული კომპლექსის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	2 000 000	
9	„ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბანში III, V და VIII ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	511 995,66	
10	„ქალაქ ახალციხეში, იაძის ქუჩა N12-ში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	1 248 000,00	

11	,,ქალაქ ახალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა“	737 994,84	
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		
1	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუგარეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები“	26 642.99	
2	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სვირში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	39 029.76	
3	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტატანისში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები“	24 428.42	
4	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვინთაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	29 248.95	
5	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	26 800	
6	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები“	35 500	
7	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები“	35 700	
8	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხში სარწყავი არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	35 800	
9	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლანაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები“	26 800	
10	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	45 500	
11	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდაში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	23 808.98	
12	,,„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	26 000	
13	,,„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	35 925.43	
14	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	39 947.97	

15	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	27 976.92	
16	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	44 900	
17	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწმინდაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	22 400	
18	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეოთში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	26 524	
19	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წირაში არსებული სასაფლაოს შემოღობვის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	16 800	
20	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	29 107.21	
21	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გურკელში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	24 844,30	
22	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაოხრებში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	35 196	
23	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სამელში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	25 700	
24	,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ორალში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები“	26 000	
25	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთბილაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	35 000	
26	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა პამაჯში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	33 750	
27	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯულღაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	22 208	
28	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	21 304	
29	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოგაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	24 704.01	

30	,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ პამაჯში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები"	34 900	
31	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსაში საბავშვო ატრაქციონის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“.	23 635	
32	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მინაძეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“.	38 987	
33	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	38 989.92	
34	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყორძაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	23 994.96	
35	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდაში სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	20 000	
36	,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სხვილისში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	28 614,72	
37	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუწიციპალიტეტის სოფელ საყუნეთში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუწველყოფა“	29 600	
38	,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აბათხევში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	23 500	
39	"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბანში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	28 500	
40	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	35 995	
41	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	23 822	
42	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბანში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	28 844	
43	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	22 724	
44	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაკში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	29 976	

45	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ელიაწმინდაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა“	24 887	
46	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭარაქში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები	30 000	
	მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამა		
1	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეში სპორტული მოედნის მოწყობის სამუსაოების შესყიდვის უზრუნველყოფა	119 999	
	სკოლების რეაბილიტაცია		
1	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გურკელის საჯარო სკოლის სახურავის, სარინელის, იატაკისა და ელექტრო გაყვანილობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა	129 000	
2	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთბილის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის და ელექტროგაყვანილობის მოწყობა	346 100	
3	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიის საჯარო სკოლის (აგარის დაწყებთი კორპუსი), სოფელ ჭვინთის და სოფელ სხვილისის საჯარო სკოლის გათბობის სამუშაოები	169 008	